საქართველო
შ.პ.ს. „ვექტორი“

მის; ქ. თბილისი, გლდანი VI მ/რ კ.3
ტელ: 2 24-78-19 599 13 04 33
ელ.ფოსტა: vectori.ltd@gmail.com

GEORGIA
„VEQTORI“ Ltd
Addres: Gldani, m/r 6, House 3, 1st floor.
0107. Tbilisi. Georgia
Tel: 2 24-78-19 599 13 04 33
E-mail: vectori.ltd@gmail.com

ქ.თბილისი 16.06.2018წ.

შპს „ნეოგაზი“-ს დირექტორს ბატონ
ზურაბ გოზალიშვილს

თქვენს მიერ გამოგზავნილი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 08.06.2018 წელს მიღებული გადაწყვეტილება #4003302-ის, რომელიც შეეხება ჩვენს მიერ შესრულებული შპს „ნეოგაზი“-ს ტერიტორიაზე ახალად ასაშენებელი აირსავსები საკომპრესორო სადგურის პროექტის განხილვის შედეგებს, პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს მთავრობის2017 წლის 27 ივლისის №369 დადგენილებით „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში შევიდა ცვლილება და 32-ე მუხლის „ა1“ ქვეპუნქტით ადგილობრივ მერიის სამსახურებს დაევალა სოხუმის, ბათუმისა და თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში 57 დადგენილების 75-ე მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შენობა-ნაგებობების მშენებლობის ნებართვის გაცემის ადმინისტრაციულ წარმოებაში ეკონომიკის სამინისტროს ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს ჩართვა. რომელსაც ჰყავს შესაბამისი დარგის სპეციალისტები და აღარ საჭიროებს ტექნოლოგიური ნაწილის ექსპერტიზას მითუმეტეს რომელიმე ცალკეული და მათშორის 41-ე დადგენილებასთან შესაბამისობის შესახებ.ამით პასუხისმგებლობას აღარ იღებს მერიის სამსახური თავისთავზე რომელსაც ამ დარგის სპეციალისტები არ ჰყავს.

ჩვენი აზრით ზემოთ აღნიშნული სამსახურის სპეციალისტების მიერ პროექტის განხილვის დროს გამოყენებული იქნა პროექტის მხოლოდ არქიტექტურული ნაწილი და სამსახურმა არ მოითხოვა დამკვეთისაგან ტექნოლოგიური პროექტი რის გამოც სპეციალისტებს არ ჰქონდათ საშუალება პროექტის ამ ნაწილის გაცნობისა, რაც შეინიშნება გადაწყვეტილების ტექსტში (სტილი დაცულია):

1. საჭიროა ნახაზებზე დაიტანოთ რეზერვუარები და აღწეროთ შესანახი ნივთიერების მახასიათებლები და რაოდენობა. აღნიშნულის გათვალისწინებით მოახდინეთ დაკავებულობის კლასიფიცირება.

2. გაითვალისწინეთ აფეთქების კონტროლის მიმართ მოთხოვნები წესების 414.5.1 ცხრილის მიხედვით.

3. ასევე გაითვალისწინეთ საპროექტო დაკავებულობებისთვის საჭირო, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის ,,შენობა–ნაგებობის უსაფრთხოების წესების" მიხედვით დადგენილი წესების სხვა მოთხოვნები.

არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე სრულად ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს. ასევე გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი"

ა) ტექნოლოგიური პროექტის გრაფიკულ ნაწილში, რომლის ავტორებიც ჩვენ ვართ, დატანილია ტექნოლოგიური სისტემის ყველა დანადგარი. ცალკე ფურცელზე გამოყოფილია უსაფრთხოების ზონები, თავისი მოქმედების რადიუსებითა და გამოყენებული ნორმების შესაბამისი პუნქტების ჩვენებით.

ბ) აირსავსები კომპრესორული სადგურის მაღალი წნევის სისტემას არ გააჩნია რეზერვუარები (რეზერვუარი ნიშნავს ტევადობას სითხის ან გაზის შესანახად ამ სისტემას კი არ სჭირდება მარაგები. იგი მიერთებულია გაზსადენის მაგისტრალზე.) აირსავსები სადგურის სისტემის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს კომპრესორი, რომელსაც სჭირდება რესივერი (იხ.განმარტებითი ბარათი და პრინციპიალური სქემა) დაჭირხვნის დროს წარმოშობილი პულსაციის შესამცირებლად და არა გაზის შესანახად. (ბალონების საერთო გეომეტრიული მოცულობა 1-1,5მ3 მათ ზომას განსაზღვრავს ქარხანა დამამზადებელი კომპრესორის მოდელისა და სიმძლავრის მიხედვით და მოჰყვება კომპრესორის კომპლექტაციას) აღნიშნული რესივერები კონკრეტულ შემთხვევაში განლაგებულია საკომპრესოროს შენობის შიგნით. მიუხედავად მათი სტაბილური გეომეტრიული ზომისა შიგნით გაზის რაოდენობა ცვალებადია.გაზის დაჭირხვნის,გაცემის ან შერეული პროცესის მიმდინარეობის შესაბამისად.

გ) ტექნოლოგიური პროექტის განმარტებით ბარათში მითითებულია საქართველოში მოწოდებული ბუნებრივი გაზის სტანდარტი და ამ სტანდარტის მოთხოვნათა შესაბამისი შემადგენლობა. ბუნებრივი გაზი როგორც მოგეხსენებათ არ არის ქარხნის მიერ გამოშვებული დაფასოებული პროდუქტი რომელსაც გააჩნია მუდმივი პარამეტრები, მისი ტრანსპორტირება ხდება მილსადენებით და შემადგენლობა სიმკვრივე და და სხვა პარამეტრები განუწყვეტლად იცვლება. ასევეა საქართველოს მაგისტრალურ გაზსადენშიც, რომელსაც გაზი ერთდროულად რამდენიმე საბადოდან მიეწოდება სხვადასხვა რაოდენობით.

–როგორც მოგეხსენებათ ჩვენ ვართ ტექნოლოგიური პროექტის ავტორები და ჩვენ მივიღეთ ტექნიკური გადაწყვეტილებები როგორც ამ დარგის სპეციალისტებმა და ოპტიმალური გადაწყვეტილების მისაღებად პროექტირების პროცესში რისკების გათვალისწინებით ავირჩიეთ საუკეთესო პრაქტიკის კოდექსები, რისი უფლებაც გვქონდა საქართველოს კანონის ,,პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი,, შესაბამისად.

–პროექტის განმარტებითი ბარათი იწყება იმით, რომ პროექტირების დროს გამოყენებულია აშშ-ში მოქმედი ნორმები რომლებიც აღიარებულია საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 მარტის №50 დადგენილებით. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ დადგენილებით აღიარებულია და დაშვებულია გამოსაყენებლად 37 ქვეყნის ტექნიკური რეგლამენტები. ეს სტანდარტი ნფპა52 ერთერთი საუკეთესოა მსოფლიოში და ერთადერთი კოდექსია ნფპა-ს კოდექსებს შორის რომელიც წარმოადგენს ბუნებრივი გაზით ამსვები კომპრესორული სადგურების პროექტირების და მშენებლობის სტანდარტს და განხილვაც უნდა მოხდეს ამ ნორმების მოთხოვნათა შესაბამისად. რაც შეეხება მოთხოვნას საქართველოს მთავრობის 2016წლის 28 იანვრის №41-ე დადგენილებით დამტკიცებული „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ რომელიც ეყრდნობა ნფპა-ს სხვა ხასიათისა და დანიშნულების კოდექსების გარკვეულ ნაწილს, გამოყენებას პროექტირების დროს არასწორი მოთხოვნაა, რადგან აღნიშნული წესები საერთოდ არ ეხება ნფპა-ს კოდექსებს: ნფპა 52, ნფპა 58, რომლებიც აირსავსებ კომპრესორულ და ავტოგაზგასამართი სადგურების სერიოზულ კოდექსებს წარმოადგენენ რადგან მსგავს ობიექტებს არც განიხილავს, რის შესახებაც ცალსახად მიუთითებს იგივე წესები.

''307.1 დიდი საფრთხის შემცველი ჯგუფი დსშ. დიდი საფრთხის შემცველ (დსშ) ჯგუფში შედის შენობის ან ნაგებობის, ან მისი ნაწილის ისეთი გამოყენება, რომელიც მოიცავს წარმოებას, გადამუშავებას, გენერაციას ან ნივთიერებების შენახვას" (არცერთი აქ ჩამოთვლილი პროცესი არ მიმდინარეობს ბ/გაზის სავსებ სადგურში – შენიშვნა ჩვენია)

–"გამონაკლისები: ქვემოთ ჩამოთვლილი უნდა მიეკუთვნოს არა დსშ ჯგუფს, არამედ იმ ჯგუფს, რომელსაც ყველაზე მეტად შეესაბამება: 3. დახურული მილსადენი სისტემა, რომელშიც მოძრაობს მანქანა-დანადგარებში ან მოწყობილობებში გამოსაყენებელი აალებადი ან წვადი თხევადი ნივთიერებები ან აირები.

ჟ) მაქსიმალურად დასაშვები რაოდენობების განსაზღვრისას არ უნდა იქნეს გათვალისწინებული შემდეგი:

1. ავტომობილებზე საწვავის ავზებში თხევადი საწვავი და საწვავი აირი

2. მოტორიზებულ მოწყობილობაზე საწვავის ავზებში თხევადი საწვავი და საწვავი აირი, რომელიც რეგულირდება წესების შესაბამისად

3. საწვავი აირი მილსადენთა სისტემებში და ფიქსირებული მოწყობილობები

4. თხევადი საწვავი მილსადენთა სისტემებში და ფიქსირებული მოწყობილობები"

-როგორც მოგეხსენებათ გაზის ამსვები კომპრესორული სადგური წარმოადგენს მაღალი წნევის დახურულ სისტემას: განსაკუთრებულად მაღალი წნევის (250 ბარი) მილსადენებისა და მოწყობილობების ერთობლიობას, რომლებიც ერთ ადგილზეა

დამონტაჟებული, ელექტრო მოწყობილობები შესრულებულია ნფპა70–ისა, და ევროპული დირექტივა atex–ის პირველი და მეორე ზონის მოთხოვნათა შესაბამისად. კონტროლდება სრულად ავტომატური მართვის სისტემით, მათ შორის გაზის გაჟონვის სენსორებით.

ასევე არსებობს ტექნიკური ზედამხედველობის წერილი მერიის არქიტექტურის სამსახურისადმი №09–1459 2017წ 18 სექტემბრის, რომელიც არათუ აირსავსებ კომპრესორულ სადგურს,თხევადი საწვავით გასამართი დამოუკიდებელი სადგურის მიმართაც მიუთითებს სპეციფიკური სტანდარტების გამოყენების (მაგალითად: ნფპა 30ა, ნფპა30) აუცილებლობას და არა 2016წლის 28 იანვრის №41-ე დადგენილებით დამტკიცებული „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ რადგან იგი არ განიხილავს მსგავს ობიექტებს.

საქართველოში აირსავსები საკომპრესორო სადგურების პროექტირება და მშენებლობა რეგულირდება მათთვის განკუთვნილი საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №60 და №81 დადგენილებებით დამტკიცებული რეგლამენტებით, რომლებთანაც სრულად თავსებადია ნფპა-52, ნფპა-58 და ნფპა-30ა ნფპა70 ნფპა221სტანდარტები და რომც განიხილავდეს ე,წ, №41 დადგენილება აირსავსები სადგურების მშენებლობის საკითხს მაინც დაუშვებელია მერიის მხრიდან მისი გამოყენების მოთხოვნა რადგან ორი რეგლამენტის მახასიათებლების აღრევა/ კომბინაცია დაუშვებელია.

"საქართველოს კანონის ,,პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი,, მუხლი 56. ტექნიკური რეგლამენტი

7. თუ ერთი და იმავე პროდუქტის ან/და პროცესის მიმართ შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს რამდენიმე ალტერნატიული ტექნიკური რეგლამენტის უსაფრთხოების უზრუნველმყოფი მახასიათებლები, გამოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ ერთ-ერთი, შერჩეული ტექნიკური რეგლამენტი. დაუშვებელია ერთი და იმავე პროდუქტის ან/და პროცესის მიმართ სხვადასხვა ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მახასიათებლების აღრევა / კომბინაცია."

სავალდებულო ტექნიკური რეგლამენტი მიიღება მხოლოდ კანონით, პირდაპირ განსაზღვრულ შემთხვევაში, რომელიც ადგენს ტექნიკური რეგლამენტის მიზანს და მოქმედების სფეროს.

ჩვენი აზრით, უკეთესი იქნება თუ არქიტექტურის სამსახურის სპეციალისტები განხილვის დროს ჩვენც მიგვიწვევენ და მათთვის საინტერესო კითხვებზე უშუალოდ ჩვენგან მოისმენენ განმარტებებს.

პატივისცემით

შპს „ვექტორი“-ს მთ. ინჟინერი: /ა. გველესიანი/